ირინა უგრეხელიძე
ნინო დოლიძე
ლია ლურსმანაშვილი

გელათის ფრესკა და სამეფო სამოსი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გელათის მონასტერი – შუა საუკუნეების საქართველოს უდიდესი სასულიერო და კულტურული ცენტრი ე. წ. „ახალი ათონი“ და „მეორე იერუსალიმი“ ხელოვნების უამრავ ფასდაუდებელ ძეგლს მოიცავს. მან შთამომავლობას სხვა მრავალ ღირებულებებთან ერთად, ფრესკების სახით დაუტოვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქართველ მეფეთა სამოსის შესახებ, რომელიც შუა საუკუნეების კოსტუმებში ძალზე საინტერესო სახეს ქმნის. ამის დამადასტურებელია ჩრდილოეთის კედლის ქვედა რეგისტრის მხატვრობა (XVI ს). სადაც წარმოდგენილი არიან ისტორიული პირები - ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრები: დავით აღმაშენებლი, იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565), მისი მეუღლე ელენე, იმერეთის მეფე გიორგი ბაგრატის ძე (1565-1584), მისი მეუღლე რუსუდანი და მათი შვილი ბაგრატი.

როდესაც საქართველოს მეფეთა სამოსზე ვმსჯელობთ, ბუნებრივია, ბიზანტიური საიმპერატორო აღკაზმულობა წარმოგვიდგება, ამ პერიოდში ხომ საქართველოს სამეფო კარი მჭიდროდ დაუკავშირდა ბიზანტიას, ამიტომ იმდროინდელი სამეფო სამოსი ბიზანტიური ტიპისაა, თავად სამოსის შემადგნელი ნაწილების სახელწოდებებიც - ბისონი, იგივე დიბიტისიონი, დიადიმა - ლორო, მანიაკიონი და სხვა ლათინური ენიდანაა გადმოღებული. ქართველ მეფეთა სამოსი თითქოს არაფრით განსხვავდება ბიზანტიელ მონარქთა ჩაცმულობისგან, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, ასე არ არის. ქართველ მეფეთა სამოსი ფერთა სისადავით გამოირჩევა. ზომიერად გამოიყენება ოქრო ერთიან ფერადოვან გადაწყვეტაში. ამასთან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, უკვე XIII საუკუნიდან ქართველ მეფეთა ბისონი წელში გამოყვანილია, განმასხვავებელია ისიც, რომ ქართული შესამოსელი XV საუკუნემდე გეომეტრიული მოტივებით იმკობა, სწორედ ისე, როგორც გელათში დავით აღმაშენებლის (XVI ს) ფრესკაზეა გამოსახული.

გელათის ფრესკაზე სამეფო ოჯახის ყველა წევრი საზეიმო სამოსითაა გამოსახული. საზეიმო სამოსის შემადგენელი ელემენტებია: დიბიტისიონი, ინტერულა, მანტია,

დიადიმი-ლორო და მანიაკიონი, ამასთან მანტია, დიბიტისიონი, ინტერულა, მოგვები შესამოსელია, ხოლო დიადიმა-ლორო, მანიაკიონი – შესამკობელი [1]. სამეფო სამოსის თითოეულ დეტალს სამღვდელმთავრო შესამოსელის მსგავსად თავისი სიღრმისეული აზრი და სიმბოლიკა აქვს. ასევე განსაზღვრული ღვთიური აზრისა და რელიგიური დატვირთვის მატარებელია ორნამენტული მოტივები, როგორც მცენარეული, ისე გეომეტრიული.

ბისონი პერანგისებური გრძელი სამოსია, (სასულიერო ანაფორის მსგავსი) (ნახ.1.ა). მისი კალთა ერთნაწილიანია. ჩაცმის გაიოლების მიზნით ყელი ღრმად ამოჭრილია, ან შესაძლოა წინ ჩაჭრილია და საკინძით იბნევა, რაც დაფარულია ბრტყლად დაფენილი საყელოს მსგავსი ელემენტით – მანიაკიონით, აქვს გრძელი სახელოები, სახელოს ბოლოს ამშვენებს შეოლვილი ყოშები, ანუ ორნამენტირებული მანჟეტები – სამაჯურები, რომლებიც სამეფო და სამღვდელმთავრო შესამოსელის სიმბოლიკაში განასახიერებს მაცხოვრის მილურსმულ ხელთაგან გადმოღვრილ სისხლს. ორნამენტს წარმოადგენს ოქრომკედით ნაქარგი სტილიზებული ყვავილები და მცენარეები. ბისონის ბოლო ქობამოვლებულია, გვერდებზე გაფორმებულია არშიებით, ზოგ შემთხვევაში ჩაქშეჭრილია.

საზეიმო სამეფო სამოსის აუცილებელ აქსესუარებს წარმოედგენს შესამკობელ – დეკორატიული ელემენტები: მანიაკიონი იგივე ბეჭმანი, დიადიმა-ლორო (იგივე ლორონი), სამკლავე და გვირგვინი.

დიადიმა-ლორო ქვებითა და მარგალიტებით შემკული ოქროქსოვილი ფარჩის ფართო სახვევია და ორი ნაწილისაგან შედგება. დიადიმის ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი სახეობა არსებობს. გელათის ტაძრის მოხატულობაში სამივე სახეობაა წარმოდგენილი. სამეფო ოჯახის წევრები წარმოდგებილი არიან დიადიმით, რომლის ერთი ნაწილი ბისონზეა ჩამოფენილი, მანიაკიონიდან ეშვება ქობისკენ, მაგრამ არ ერწყმის მას. მეორე ნაწილი – სარტყელი მარცხენა ხელზეა გადაფენილი. დიადიმის ამ ორი შემადგენელი ნაწილის გადაკვეთა წარმოქმნის ჯვარს და ღრმა სიმბოლური აზრის მატარებელია: მისი ვერტიკალური ნაწილი სიმბოლოა იმ სუდარისა, რომელშიც გაახვიეს ქრისტე ჯვარცმის შემდეგ, ხოლო დიადიმის მეორე, ხელზე გადაფენილი ჰორიზონტალური ნაწილი განასახიერებს უფლის აღდგომას და გამარჯვებას სიკვდილზე.

განსხვავებული დიადიმითაა გამოსახული გელათის მონასტრის ერთ-ერთ ფრესკაზე დედოფალი ელენე. აქ დიადიმის მთლიანობა დარღვეულია, ის ორი ცალკეული დეტალისაგან შედგება (ნახ. 1. დ), ესენია მანიაკიონი და თორაკიონი. თორაკია არის ფარისებული ფორმის ნაწილი, რომელიც დიადიმის მსგავსად მორთულია ძვირფასი

თვლებით. ის ბისონზე წელს ქვემოთ მაგრდება. ცხადია, დიადიმის ასეთი განსხვავებული ფორმა გარკვეული რელიგიური სიმბოლიკის მატარებელია.

მესამე სახეობა დიადიმისა გელათის მოხატულობაში მხოლოდ ბიბლიური პერსონაჟებისა და სასულიერო პირების შესამოსელშია წარმოდგენილი. მისი ერთი ნაწილი თავისებური წესით ეხვევა ტანზე – მარჯვნიდან მარცხნისაკენ, გულზე გადაჯვარედინებულია და ძირს ეშვება, მეორე ნაწილი გვერდიდან მოემართება და მარცხენა ხელზეა გადაფენილი.

დიადიმი-ლორო, მანიაკი, თორაკიონი ფარჩის, ოქროქსოვილია და შემკულია მარგალიტებითა და სხვადასხვა ფერის ძვირფასი ქვებით, მარცხენა ხელზე გადაფენილი დიადიმის სარტყლიდან მოჩანს მისი სარჩული, რომელიც სხვადასხვა ისტორიული პირებისათვის ერთმანეთისაგან განსხვავებული ფერისაა და ეს განსხვავებული ფერი მეფის ადამიანურ, მიწიერ, ამქვეყნიურ არსებობას აღნიშნავს. საერთოდ მეფეთა სამოსი გააწყვეტილია ორი ძირითადი ფერის შეხამებით, რომელთაგან ერთი აუცილებლად ოქროსფერია, მეორე კი ერთ-ერთი ფერებიდან - მეწამული, ბაცი მწვანე, მელნისფერი, ძოწეული, ლურჯი. ოქრო ღვთითგაბრწყინებულის, არამიწიერის აღმნიშვნელია. საინტერესოა ოქროს სემანტიკა: მიქაელ მოდრეკილის ჰიმნში „ოქრო“ გვხვდება „უქრობის“ სინონიმად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ ენაში „ოქროს“ ცნებაში იმთავითვე ჩადებული იყო მისი უქრობელობა. დანარჩენ ფერთა სიმბოლიკა ტრადიციულია: მწვანე – სიცოცხლის, მარადიულობის, მეწამული, ძოწეული, შინდისფერი – სისხლის, მაცხოვრის მოწამეობის, ყავისფერი – ამქვეყნიურობისა და მიწიერის აღმნიშვნელი ფერია. გელათის ფრესკაზე ფიგურირებს ვაზის ლერწების წნულითა და გულისებრ ფორმაში ყურძნის მტევნებით მოხატული ბისონი, რაც საერო და სასულიერო იერარქიის იერსახის აღმნიშვნელია და ღრმა საღვთისმეტყველო შინაარსი გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ „მეფე ერის ცხოვრების წარმმართველი და ღვთის ნების აღმსრულებელია. გული, როგორც ადამიანის სხეულის ნაწილი, განასახიერებს ცენტრს, შუაგულს. გული არის მიმღები და გამტარი ღვთის ნებისა, მადლისა და სიტყვისა... მეფეთა გულის ზრახვა, გულისწადილი, გულისყური და გულისცნობა ღვთითსავსეობას უნდა აცხადებდეს, როგორც ბარძიმი არის აღვსილი წყლით და მისგან გადმომდინარეწყალი კურნავს სნეულთ“ [2] .

მეფეთა და დიდგვაროვანთა სამოსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მოსასხამი ე.წ. ”მანტია” ანუ პორფირი. პორფირისა და დიდიმი-ლოროს ერთდოულად ტარება მიღებული არ იყო, არ შეიძლებოდა დიადიმა-ლორო პორფირით დაფარულიყო. პორფირი უკან გადაგდებული და ყელთან (წინ ან მარჯვენა

მხარეს) საკინძით შეკრული მოსასხამია (ნახ. 1. ე).

პორფირმა სახელწოდება მიიღო უძველესი დროიდან ცნობილი საღებავების სახელიდან – პურპური, რაც ქართულად მეწამულს აღნიშნავს. საღებავს ღებულობდნენ მოლუსკი - პურპურას (purpura) წვენიდან. ის იძლეოდა შეფერილობის მთელ გამას – მუქი იისფერიდან წითელსა და ყავისფრამდე. მეწამული ფერის მოსასხამი ძველთაგანვე უმაღლესი ტიტულისა და მდგომარეობის სიმბოლოდ ითვლებოდა.



ნახ. 1. სამეფო სამოსის ნაწილები: ა — ბისონი; ბ, გ, დ — დიადიმები; ე — პორფირი

სამეფო სამოსის აუცილებელი ელემენტია გვირგვინი, ის სამეფო რეგალიადაც ითვლება და უდიდესი სიმბოლური დატვირთვა აქვს. „გვირგვინი ჯვარის სახეს ქმნის, ჯვარ-შემოსილად წარმოდგება. მეფე ღვთისგან არის დადგენილი, ღვთის ხატია ამქვეყნად და მისი გვირგვინი უხილავად ღმრთის ხელს უპყრია. მეფის „შარავანდქვეშ ღვთის ნება სუფევს“. ამის მანიშნებელია ფრესკაზე გამოსახული მაკურთხებელი ხელი მარჯვენა ზედა კუთხეში. „ეს უფლის ხელია, რომელიც აკურთხებს მეფეს და უხილავად მუდამ მოუმართავს ხელს ყოველგვარ ღვაწლში. ამ ღვთივსულიერ საზრისს გულისხმობს მეფის გვირგვინიდან ჩამოფენილი მარგალიტთა სხმული, რომელიც მხრებს სწვდება. იგი განასახიერებს გვირგვინისა (წრის) და ოთხი მხარის (ოთხთა კიდეთა) მთლიანობას, ანუ ღვთის ნებისა და მადლის მოფენას მეფის გვირგვინიდან ოთხსავე მხარეს (სრული მეუფება). ეს არის სიმბოლიკა გვირგვინზე გადმოღვრილი ღვთიური მადლისა“.

ამრიგად, გელათის მონასტრის ფრესკაზე წარმოდგენილი ქართველ მეფეთა სამოსი მდიდარია როგორც მხატვრული, ისე ინფორმაციული თვალსაზრისით და გამოირჩევა რელიგიური დატვირთვის სიღრმისეული აზრითა და სიმბოლიკით, რაც ნათლად ჩანს როგორც სამოსის ელემენტების ორნამენტულ მოტივებში, ისე მის მდიდარ ფერთა გამაში. სწორედ ამიტომ ის დღესაც კი სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა კვლევის საგანს წარმოადგენს.

ირინა უგრეხელიძე
ნინო დოლიძე
ლია ლურსმანაშვილი

გელათის ფრესკა და სამეფო სამოსი

სტატიაში მოცემულია გელათის მონასტრის ფრესკაზე გამოსახული შუა საუკუნეების სამეფო სამოსის ფორმისა და სიმბოლური დატვირთვის ანალიზი. განხილულია სამოსის შემადგენელი ნაწილები (ბისონი, პორფირი-მანტია) და აუცილებელი აქსესუარები – დეკორატიული ელემენტები (დიადიმი-ლორო, მანიაკი, სამკლავე, გვირგვინი); წარმოდგენილია მათი გარეგნული სახის აღწერილობა და ესკიზები.

I. UGREKHELIDZE
N. DOLIDZE
L. LURSMANASHVILI

GELATI FRESCO AND ROYAL ATTIRE

Akaki Tsereteli State University

Summary

The article analyzes the form and symbolic meaning of the medieval royal attire depicted in the fresco of the Gelati Monastery. The components of the clothing (tunic-dalmatic, porphyry mantle) and the necessary accessories – decorative elements (loros, necklace „maniac “, armband, crown) are discussed; A description of the appearance and their sketches are presented.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩოფიკაშვილი ნ. საუკუნეების ქართული სამეფო სამოსელი. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ . XXIII- B. 1962.
2. „ხელმწიფის კარის გარიგება – შესამოსელი მეფეთა“ ქართული მწერლობა თბ. 1983.
3. უგრეხელიძე ი. კოსტუმი შუა საუკუნეების საქართველოში. ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა და სტამბა, 2013.